

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**  
**ს.რ.N3 - 17**

ქ. თბილისი

8 აგვისტო 2017 წელი

ერთი მხრივ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკვეთწყობო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე თევდორაძის სახით,

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12,

საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982,

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: GE 40 TB 7386 5360 2010 0002

(შემდგომში - შემსყიდველი)

და მეორე მხრივ,

**შპს „გზა“,**

წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ დუმბაძის სახით,

საიდენტიფიკაციო კოდი: 245525132

მისამართი: საქართველო, ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.51

საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი ქართლ“

ბანკის კოდი: CRTUGE22

ანგარიშის ნომერი: GE88CR0150009200193605

(შემდგომში - მიმწოდებელი)

**ორივე ერთად წოდებული - მხარეებად**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1405 განკარგულების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 12 ივნისის N1915 განკარგულებისა (SMP170001668), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-9 მუხლის და შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მოადგილის, საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსის, საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 28 ივნისის №5511-2 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (საკვეცი)- სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდინარედ, მოსაზრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდოდ ერთკილომეტრიანი სიგრძის) მოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება (შემდგომში - სამუშაო).

1.2 CPV კოდი: **45233142** - გზის შეკეთების სამუშაოები

**მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მოცემულია სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **2 500 000,00 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს.**

2.3 იმის გათვალისწინებით, რომ პროექტირება და სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში:

ა) მიმწოდებელი ორგანიზაცია სამუშაოებს აწარმოებს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას დეპარტამენტთან შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ბ) მიმწოდებლის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება გაწეული საპროექტო მომსახურების შედეგად წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების

არაუმეტეს 2.49%-ით. აღნიშნული თანხა შესაძლებელია დაკორექტირდეს საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების განსაზღვრელი დასკვნის მიხედვით, თუ შესაბამის დასკვნით დადგინდება, რომ ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით სამუშაოების ღირებულება ნაკლებია საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ღირებულებაზე.

გ) დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მხარეთა შორის გაფორმდება ამ ხელშეკრულების დანართი, სადაც აღნიშნული იქნება შესასრულებელი სამუშაოების უკვე დაზუსტებული მოცულობები და მათი მთლიანი ღირებულება.

2.4 ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნადლო ანგარიშსწორების ფორმით.

2.5 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას ყოველ თვეში წარმოადგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.6 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განხორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.7 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი), შემსყიდველის მიერ გადახდის სერთიფიკატის დადასტურებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

2.8 შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყოველი შესრულებიდან დააკავებს შესრულებული სამუშაოების ღირებულების 10%-ს, რომლის გადახდაც განხორციელდება ამ მუხლის 2.11 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 2.12 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.9 „სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

2.10. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2.11 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდგომ, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

2.12 იმ შემთხვევაში თუ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნასა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფორმა N2-ს შორის გამოვლინდება სხვაობა, ანგარიშსწორება განხორციელდება უმცირესი ფასის მიხედვით.

2.13 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.14 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.15 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.16 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ორგანიზაცია რეგისტრირებულია თეთრ სიაში, საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს გასაცემი ავანსის ნახევრის ოდენობის თანხაზე.

2.17 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 35 პროცენტს.

2.18 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A \cdot (X\% - Y\%)}{70 - 20}$$

*Z = გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;*

*A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;*

*X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.*

*Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.*

2.19. შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.15 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.20. ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

2.21. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისისოდ შერჩეული პირი ზედამხედველის - უცხოური საწარმოს ფილიალი „სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ მიერ დადასტურებული აქტი.

2.22. გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.23. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.24. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

2.25. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი საგარანტიო ვადის (ორი წლის) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

2.26. იმ შემთხვევაში თუ, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს ზემოხსენებული კომისიის მიერ აქტში დაფიქსირებული დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან (საზედამხედველო ორგანიზაცია) ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს აღნიშნულ თანხას – ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების დაკავებული 5%-დან. თუ დეფექტების აღმოფხვრის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებულ 5%, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.27. შემსყიდველი უფლებამოსილია ობიექტის მიღების აქტის გაფორმებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხიდან 2.5%-ის გადახდის შემდგომ დარჩენილი 2.5%-ი დაუბრუნოს მიმწოდებელ ორგანიზაციას მხოლოდ დასაბრუნებელი თანხის ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც ძალაში იქნება სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ობიექტზე გამოვლენილი დეფექტების გამოსწორებას მიმწოდებელი

ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს მათ აღმოფხვრაზე. შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და უზრუნველყოფს წარმოდგენილი საბანკო გარანტიიდან თანხის მოთხოვნას მის პროპორციულად. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 3. სამუშაოსა და გაწეული საპროექტო მომსახურების შესაბამისობა**

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები და მომსახურება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და ამ ხელშეკრულებითა და მის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

3.2 ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

### **მუხლი 4. სამუშაოსა და გაწეული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2 ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლო რიცხვში.

4.3 მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა N2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“. საექსპერტო მომსახურების ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი ორგანიზაცია, თუ წარმოდგენილ ფორმა N2-სა და საექსპერტო დასკვნას შორის აღმოჩნდება ცდომილება. წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპერტო მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

4.5 ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი - უცხოური საწარმოს ფილიალი „სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ (შემდგომში - ზედამხედველი), რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველსა და საზედამხედველო ორგანიზაციას სამუშაოთა დასრულების შესახებ. საზედამხედველო ორგანიზაცია ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას დასრულების თაობაზე და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

4.7 დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1-1/23 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.8 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული საპროექტო მომსახურების შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები - საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახური, განსახლების სამსახური და გარემოს დაცვის სამსახური.

### **მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) წერილობით შეუთანხმოს შემსყიდველს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დაარეგისტრირებული სერტიფიცირებული გარემოსდაცვითი მმართველი, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის სამუშაოები წლის განმავლობაში წარმოქმნის ნებისმიერი მოცულობის სახიფათო ნარჩენს, 200 ტონაზე მეტ არაზახიფათო და 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს;

- ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;
- გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების გაწევის დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
- დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით**;
- ე) შემსყიდველთან საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შეთანხმებამდე და შეთანხმებული სქემით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეგულირებამდე არ დაიწყოს ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს საგზაო მოძრაობაზე;
- ვ) განათავსოს დროებითი საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნა, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები დამტკიცებული და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს სხვა აუცილებელი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც მოითხოვს სამუშაოები.
- ზ) უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემით განსაზღვრული საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, ბარიერების და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სუფთა და თვალსაჩინო მდგომარეობაში არსებობა. იგი ვალდებულია დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად შემსყიდველთან და ზედამხედველთან შეთანხმებით.
- თ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებისას საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადმოცემა შემსყიდველის საგზაო მოძრაობის რეგულირების სამსახურთან;
- ი) 24 საათით ადრე შეუთანხმოს შემსყიდველს ან მის მიერ საამისისოდ შერჩეული პირს - საზედამხედველო ორგანიზაციას დაგეგმილი სამუშაოები ყოველდღიურად. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება, რომ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის არ არის საჭირო დოკუმენტაცია, არაა სათანადო ნებართვა მოპოვებული, ან მათი განხორციელებით შეიძლება ბუნებრივ გარემოზე შუქცევადი ზემოქმედების მოხდება, მიმწოდებელი ვალდებულია სათანადო დოკუმენტაციისა თუ ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული კონკრეტული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად
- კ) მიმწოდებელი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ საამისისოდ შერჩეული პირს (ზედამხედველს) შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადებში;
- ლ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, ამ ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;
- მ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის საგზაო მოძრაობის რეგულირების სამსახურთან;
- ნ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- ო) ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით.
- პ) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულება;
- ჟ) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 პროცენტი დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;
- რ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- ს) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას აანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

5.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარანტიის მექანიზმი. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ.

5.5 არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების/გაწეული მომსახურების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა/გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს;

## **მუხლი 6. ფორს-მაჟორი**

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომისა და მისი სავარაუდო ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## **მუხლი 7. პასუხისმგებლობა**

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% არაუგვიანეს 5 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 ამ მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობით/არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

7.5 მიმწოდებლის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედებისათვის, დეპარტამენტისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

#### **მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.

8.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5 შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად, შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

#### **მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადადღე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

- ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
- ბ) თუ მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
- გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

- დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
  - ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია;
  - ვ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;
  - ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.
  - თ) ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა ცდომილება წარმოდგენილ (გადამოწმებულ) შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა N2);
  - ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
- 9.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

### **მუხლი 10. უფლებების გადაცემა**

- 10.1 ამ ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

### **მუხლი 11. ქვეკონტრაქტორი**

- 11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.
- 11.2 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.
- 11.3 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.
- 11.4 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

### **მუხლი 12. შეტყობინება**

- 12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ფაქსის სახით, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ამ ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

### **მუხლი 13. ინსპექტირება**

- 13.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების, ვადების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს შემსყიდველი და მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი უცხოური საწარმოს ფილიალი „სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“.
- 13.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.
- 13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.



13.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების კონტროლი ევალება საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო პროექტების მართვის სამსახურს, საპროექტო მომსახურების ნაწილში საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკურ სამსახურს, განსახლების სამსახურს და გარემოს დაცვის სამსახურს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ფინანსების მართვის სამსახურს.

13.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.6 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის „სავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების, თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

#### მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე - ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით, რომელიც მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად გახდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ამ ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

#### მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

#### მუხლი 16. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საექსპლუატაციო დაწესებულება - საქართველოს სავტომობილო გზების

შპს „გზა“

დეპარტამენტი



ალექსანდრე თევდორაძე



მალხაზ დუმბაძე

Handwritten signatures and initials of the representatives of both parties, including the State Road Administration and the company 'GZA'.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

8 აგვისტო 2017 წელი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის („ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“) შესაბამისად ვადასტურებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

მიმწოდებელი:

შპს „გზა“

ხელშეკრულება

ს.რ. № 3-17

ალექსანდრე თევდორაძე

გივი ჩოჩია

შალვა ჯულაყიძე

დავით კალაძე

სალომე წურწუშია

მიხეილ უჯმაჯურიძე

ფიქრია კვერნაძე

გია სოფაძე

დავით საჯაია

ხატია ამილახვარი

ავთანდილ გვაზავა

სოფიო ღვინჯილია



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1405 2017 წლის 6 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის  
სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო  
დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის  
მიერ განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ


1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში – დეპარტამენტი) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდოდ ერთკილომეტრიანი სიგრძის) მოწყობის სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა დეპარტამენტს, უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოების განხორციელება პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

3. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

4. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებისთვის საჭირო საზედამხედველო მომსახურება განახორციელოს დეპარტამენტსა და შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებული, საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

## ბასაწევი მომსახურება

### 1. გასაწევი საპროექტო მომსახურების დასახელება:

საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდოდ ერთკილომეტრიანი სიგრძის) მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზაზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების ჩათვლით რეაბილიტაციას.

### მომსახურების ძირითადი სახეობები:

1. საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
2. საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია);
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
4. გარემოს მართვის გეგმის მომზადება;

### საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

- 1) ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა
- 2) გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
- 3) განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;
- 4) სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.
- 5) საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა.
- 6) საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის №42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად)

- 7) წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა)

## 2. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები:

- მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან – ერთი თვის ვადით.

- საჭირო შემთხვევაში შესრულების ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

- იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადა სცილდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადას, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე (საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის ჩათვლით), მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით;

- საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საწყის გეგმაში. წლიური დაფინანსების მოცულობის შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია მოცულობის შეუსრულებლობის გამო;

- ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში;

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

## ტექნიკური დავალება

ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს მადალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და შემსყიდველისათვის მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

## 1. დაგეგმვის შემადგენლობა

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევადიებო (ტოპოგოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს "საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით), ასევე ხელშეკრულების პირობებით;

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსპლის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევადიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები;
- პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მჭიდრო და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

## 2. სამუშაო ადგილის მომზადება

მიმწოდებელი პასუხისმგებელია მისი სამუშაოებისათვის საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტისა და ყველა საველე სამუშაოსთვის საჭირო ხელსაწყოთა და ტექნიკის უზრუნველყოფაზე.

## 3. მოძრაობის ორგანიზაცია

შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.

საჭირო შემთხვევებში დასაშვებია დაზიანებული გზების მონაკვეთებისა და ხელოვნური ნაგებობებისათვის ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა გზაზე უწყვეტი მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

#### 4. დავალების შესრულების წესი

დავალების შესრულების წესი განისაზღვრება მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციებით, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობებით.

#### 5. ტექნიკური რეგლამენტები და ნორმატიული დოკუმენტები

რეკომენდირებულია და კონსულტანტი ვალდებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირებისას იხელმძღვანელოს და გამოიყენოს:

- საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები და მათ საფუძველზე დამუშავებული ტექნიკური რეკომენდაციები, სახელმძღვანელოები და მითითებები;
- სატენდერო დოკუმენტაციები უნდა შედგეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დაცვით;

**შენიშვნა:** საპროექტო ნორმებსა და რეგლამენტებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიკური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.

#### 6. კუთვნილება

ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს, წარმოადგენს მის საკუთრებას და მიმწოდებელი ვალდებულია პირველი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მას აღნიშნული მასალები.

მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

ხელშეკრულების პირობებით მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის სრული მოცულობის ელექტრონული (pdf, dwg და სხვა მოთხოვნილი) ვერსია.



## 7. დოკუმენტაციის რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგი რაოდენობით;

დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა. საპროექტო დოკუმენტაცია – 3 ეგზემპლიარი;

ბ. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – 2 ეგზემპლიარი;

გ. დოკუმენტაციის სრული ელექტრო (pdf და dwg ფაილები) ვერსია – 2 ეგზე;

### **„რეაბილიტაცია“-ს სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები**

#### **„რეაბილიტაცია“ ითვალისწინებს:**

რეაბილიტაცია ითვალისწინებს განივი და გრძივი პროფილების აღდგენას, ვირაჟების მოწყობას, მიწის ვაკისის სიგანის, ფერდობების და წყალგამტარი ნაგებობების გეომეტრიული პარამეტრების მიყვანას საპასპორტო (საპროექტო) მაჩვენებლამდე, გადატვირთული სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ერთ დონეში გახსნის სრულყოფას, წყალამრიდი ნაგებობების მთლიან აღდგენას ან ახლის მოწყობას, სამოსის კონსტრუქციის მოძრაობის ინტენსივობის შესაბამისად გაძლიერებას, ხელოვნური ნაგებობების (კალაპოტების და სარეგულაციო ნაგებობების ჩათვლით) კონსტრუქციული ელემენტების შესწორებას და აღდგენას, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სრულყოფილ აღდგენას ან მათი ახალი დისლოკაციის პროექტის მიხედვით გზის აღჭურვას, გზის კეთილმოწყობის ახალი მოთხოვნების მიხედვით სრულყოფას მათი თანამდგევი სამუშაოების შესრულებით, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენით. რეაბილიტაციის შედეგად მთლიანად უნდა აღდგეს გზის ტექნიკური მაჩვენებლები და გაიზარდოს გზის პრაქტიკული გამტარუნარიანობა. რეაბილიტაციის შედეგად უნდა გაუმჯობესდეს გზის ტექნიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლები. ამისათვის:

#### **1. მიწის ვაკისზე ხორციელდება:**

ა. მიწის ვაკისის და წყალამრიდი ნაგებობების სრულყოფილი აღდგენა, მიწის ვაკისის შევიწროვების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, ყრილების და ჭრილების ფერდობების დახრილობის და გამაგრების მთლიანი აღდგენა და სრულყოფა.

ბ. გვერდულების მთლიანი სრულყოფილი აღდგენა, მოშანდაკება, დატკეპნა, გამაგრება და საჭიროების შემთხვევაში გამაგრება.

გ. მეწყერების, ზვავებისა და ჩამონაშაღებისაგან გზის მთლიანი გაწმენდა და ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზების ლოკალიზაციისათვის ღონისძიებების განხორციელება.

დ. მეწყრული, დაბურცული და სხვა არამდგრად მოკლე მონაკვეთებზე მიწის ვაკისის კონსტრუქციის გაძლიერება.

ე. აღმართებზე, ქანობების სიდიდიდან და ტრანსპორტის ინტენსიობიდან გამომდინარე, სატვირთო მოძრაობისათვის დამატებითი ზოლის მოსაწყობად მიწის ვაკისის სათანადო გაგანიერება.

ვ. სარეაბილიტაციო მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და მხედველობის არის გაუმჯობესების მიზნით, გრძივი ქანობისა და პორიზონტალური მრუდების შეცვლა, თუ მათი საერთო სიგრძე არ აღემატება მთლიანი მონაკვეთის სიგრძის 25 %-ს.

ზ. სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის მიწის ვაკისის სათანადო გაგანიერება.

თ. წყალამრიდი ნაგებობების მთლიანი შეკეთება, აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში სრულყოფა და ახლის მოწყობა.

ი. მიწის ვაკისის ფერდობების და ნაპირსამაგრი სარეგულაციო ნაგებობების აღდგენა და სრულყოფა.

კ. მიწის ვაკისის ფერდობების გამაგრება ზედაპირული წყლების ზემოქმედებისაგან.

**შენიშვნა:** სარეაბილიტაციო მონაკვეთზე მოქმედი რთული მეწყრის შესწავლა და მისი საპროექტო გადაწყვეტილება უნდა გამოეყოს პროექტს და მასზე გაიცეს ცალკე ტექნიკური დავალება.

## 2. გზის სამოსზე ხორციელდება:

ა. საფარის დაზიანებების (ტაღლები, ნაბურცები, ბზარები და სხვა) ლიკვიდაცია და ახალი ასფალტბეტონის საფარის მოწყობა, განივი პროფილების მიკროდეფორმაციების შემასწორებელი ფენით გასწორება და მრუდეებზე ვირაჟების ნორმების შესაბამისად მოწყობა.

ბ. გრძივი პროფილის სისწორის აღდგენა, ჯდენების შემთხვევაში მიკროდეფორმაციების ლიკვიდაცია.

გ. გზის სამოსის კონსტრუქციის გაძლიერება მოძრაობის საანგარიშო ინტენსიუობის მოთხოვნის მიხედვით.

დ. დაზიანებულ და დეფორმირებულ მონაკვეთზე სამოსის მთლიანი შეცვლა ან ახალი უფრო სრულყოფილი სამოსის კონსტრუქციის მოწყობა.

ე. საჭიროების შემთხვევაში გვერდულებზე სავალი ნაწილის გამაგრების და ტრანსპორტის გასაჩერებელი ზოლების მოწყობა.

ვ. აღმართებზე ქანობის სიდიდიდან და ტრანსპორტის ინტენსივობიდან გამომდინარე სატვირთო მოძრაობისათვის დამატებითი ზოლის მოწყობა.

ზ. სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ორგანიზაციის ერთ დონეზე სრულყოფისათვის საჭირო ახალი სამოსის მოწყობა.

თ. ავტობუსების გაჩერებებზე, დასასვენებელ მოედნებზე და მათთან მისასვლელებზე საჭიროების შემთხვევაში, ახალი საფარის მოწყობა

### 3. ხელოვნურ და დამცავ ნაგებობებზე ხორციელდება:

ა. ნაგებობების დაზიანებული კონსტრუქციული ელემენტების აღდგენა, ხიდებზე ახალი სავალი ნაწილის ტროტუარების, ზღუდარებისა და მოაჯირების მოწყობა.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობების ფარგლებში ხიდების გაბარიტების გაუმჯობესება.

ბ. ბურჯების და სარეგულაციო ნაგებობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად დამატებითი გამაგრებების განხორციელება. საჭიროების შემთხვევაში ახალი სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა

გ. არსებული საყრდენი კედლების აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში ახლის მშენებლობა.

დ. ლითონის ხიდების სამალო ნაშენების ნაწილობრივ დაკარგული მზიდუნარიანობის აღდგენა, ჟანგისგან სათანადო გაწმენდა, ანტისეპტირება და სრულყოფილი გადაღება.

ე. ნორმატივებით დასაშვებზე ნაკლები ხვრეტის არსებული წყალგამტარი მილების ახლით შეცვლა.

ვ. საჭიროების შემთხვევაში ხიდების გამოცდა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით ხიდების, გზაგამტარების, გვირაბების, გალერეების და სხვა ხელოვნური და საინჟინრო ნაგებობების თანამედროვე დატვირთვების და გაბარიტების მიხედვით გადაკეთება ან ახლით შეცვლა.

### 4. მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებსა და გზის კეთილმოწყობაზე ხორციელდება:

ა. საგზაო ნიშნებისა და ფარების მთლიანი აღდგენა ან გზის მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით ახალი დისლოკაციის პროექტის მიხედვით აღჭურვა.

ბ. ზღუდარების აღდგენა, განახლება და საჭიროების შემთხვევაში ახლების დაყენება.

გ. ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონიშვნის აღდგენა ან განახლება

დ. ტროტუარებისა და საცალფეხო ბილიკების, ავტობუსების გაჩერებების, დასასვენებელი მოედნების და პავილიონების მთლიანი აღდგენა და კეთილმოწყობა, ან საჭიროების შემთხვევაში, ახლის მოწყობა.

**შენიშვნა:** გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთზე რთული მეწყრული უბნის აღმოჩენის შემთხვევაში იგი უნდა გამოეყოს ტექნიკური დაავალებით განსაზღვრულ საპროექტო ობიექტს და დამუშავდეს როგორც ცალკე საპროექტო ობიექტი ახალი ტექნიკური დაავალების საფუძველზე.

## საველე - საკვლევამაძიებო საორიენტაციო სამუშაოები

ობიექტის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები ამ თავში მოცემული სამუშაოების სახეობებიდან:

**შენიშვნა:** აქ მოცემულია იმ სამუშაოთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ზოგადად საკვლევამაძიებო სამუშაოების ჩასატარებლად. ამიტომ, ასევე გამოყენებული უნდა ტქნას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც სრულად არის მოცემული კვლევების ჩატარების მეთოდები და საშუალებები

### 1. საინჟინრო-ტოპოგოდეზიური სამუშაოები

საინჟინრო-ტოპოგოდეზიური სამუშაოების ჩატარების დროს უნდა შესრულდეს სამუშაოთა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ტოპოგოდეზიური მასალებისა და მონაცემების მიღებას, რომელიც აუცილებელია სამუშაო ნახაზების დასამუშავებლად პროექტის ყველა ნაწილისათვის, ცალკეული ტიპობრივი ნაგებობების მისაბმელად ადგილზე და ობიექტის შემადგენელი ნაწილების ლოკალური ხარჯთაღრიცხვების შესადგენად.

**ა). კვლევა-ძიების საველე ეტაპი უნდა მოიცავდეს:**

ა. არსებული გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთის პიკეტაჟის ჩატარების პროცესში ტრასის სიტუაციური გეგმის შედგენას, ტრასის დამაგრებას და ხელოვნური ნაგებობების ღერძების მიბმას მასთან;

ბ. საინჟინრო-გეოლოგიური გამონამუშევრების მიბმას ტრასასთან და ხელოვნურ ნაგებობებთან;

გ. პიკეტაჟის პროცესში პლუსების დაფიქსირებას რელიეფის განივი და გრძივი ცვლილებების ადგილებში, პორიზონტალური მრუდების მახასიათებელ ადგილებში (ტანგენსები, ბისექტრისები). მთაგორიან რელიეფზე პიკეტში 4 - 7 წერტილით, ხოლო ვაკე რელიეფზე 3 - 5 წერტილით;

დ. მიწის ვაკის ინდივიდუალური პროექტირებისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის ადგილებში ტახეომეტრიულ გადაღებას მასშტაბით 1:1000, ან 1:500.

ე. რელიეფის ტოპოგეოდეზიური გადაღებები დამუშავებული უნდა იქნას აბსოლუტურ **UTM** კოორდინატთა სისტემაში;

ვ. რეპერების მოწყობას ტრასის მისაბმელად ერთ კილომეტრში მინიმუმ ერთი, ხოლო დიდ ხიდებთან მისასვლელების ორივე მხარეს, ერთმანეთის მხედველობის უზრუნველყოფით, იმგვარად, რომ არ დაზიანდეს მშენებლობის დროს;

ზ. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განისაზღვროს არსებული კომუნიკაციების (საჰაერო ხაზების, ელექტროგადაცემის ხაზების, კაბელების, წყალსადენის, საკანალიზაციო ქსელის და სხვა) საპროექტო ტრასასთან გადაკვეთა და შესაბამისი ადგილები და შეთანხმდეს მათთან გადაკვეთის/გადატანის პირობები;

**ბ). კამერალური სამუშაოები უნდა მოიცავდეს:**

ადგილზე (ველზე) ჩატარებული ტოპო-გეოდეზიური და აზომებითი სამუშაოების შედეგების გაანალიზებას, საჭირო გაანგარიშებების ჩატარებასა და გრაფიკული და ტექსტური მასალების დამუშავებას ოფისის პირობებში, ასევე საჭირო შეთანხმებების დოკუმენტების უზრუნველყოფას.

**შენიშვნა:** შეთანხმების დოკუმენტები უნდა იყოს გაფორმებული ტექსტური და გრაფიკული სახით (აქტები, ოქმები, ცნობები, წერილები, დასკვნები, გადაწყვეტილებები, წარწერები გეგმებზე, სქემებზე და ა.შ.) ამ დოკუმენტებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული შეთანხმების საგნები, შემთანხმებელი ორგანიზაციის მოთხოვნები, ნაგებობის განლაგება, ტექნიკური პირობები ცვლილებაზე და ა.შ., ასევე შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, შეთანხმების თარიღი, შემთანხმებელი პირის თანამდებობა და გვარი, ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული.

**გ). გრაფიკული მოთხოვნები კამერალური სამუშაოების შესრულების დროს**

ა. ტრასის გასწორხაზებული გეგმა გამოიხაზოს მასშტაბით 1:1000; 1:500

ბ. გზის ტრასის სიტუაციური, ან ტოპოგეგმა გამოიხაზოს სირთულის პირობების მიხედვით: რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000; გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000;

გ. გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 – 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 – 1 : 100;

გ. განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;

დ. ტოპოგრაფიული გეგმები გამოიხაზოს ნორმალურ პირობებში მასშტაბში 1 : 1000 რთული რელიეფის და ქალაქის პირობებში მასშტაბში 1 : 500;

ე. სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას არსებული პირობითი ნიშნების შესაბამისად;

ვ. ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების ნახაზები უნდა შესრულდეს 1:200, 1:100, 1:50, 1:20, 1:10 და 1:5 მასშტაბებში:

ზ. ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

## 2. არსებული ნაგებობების აზომვები საკვლევაძიებო სამუშაოების წარმოების დროს

ა. ჩატარდეს არსებული წყალგამტარი მიწების (სათავისებისა და პორტალური კედლების ჩათვლით) აზომვები ძირითადი ხედებისა და ჭრილების ჩვენებით, დადგინდეს მათი მასალა და კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, განისაზღვროს მათი ვარგისიანობა მომავალში შესაძლო გამოყენების მიზნით;

ბ. ნაგებობების საფუძვლიანი დათვალიერებითა და შესწავლით დადგინდეს ხიდების (გზაგამტარები, ესტაკადები, ვიადუკები,) კონსტრუქციებისა და ხიდებთან მისასვლელი გზების დაზიანებები და მათი ტექნიკური მდგომარეობა, ხიდების კონუსებთან შეუღლების მდგომარეობა მოძრაობის უსაფრთხოების გათვალისწინებით. შესრულდეს აზომვითი ნახაზები ხიდების ხილულ და მათ შორის დაზიანებულ კონსტრუქციულ ელემენტებზე ძირითადი ხედებისა (ფასადი, გეგმა) და ჭრილების ჩვენებით და საპროექტო გადაწყვეტილებებში დაისახოს დაზიანებათა გამოსწორების ტექნიკური ღონისძიებები;

გ. ანალოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს სხვა ხელოვნური და სპეციალური საინჟინრო ნაგებობების შესასწავლად (გვირაბები, გალერეები, აკვედუკები, ზედა და ქვედა საყრდენი კედლები და სხვა შენობა-ნაგებობები);

საჭიროების შემთხვევაში:

დ. გაზომილი და დაფიქსირებული უნდა იქნას არსებული წყალსადენების, საკანალიზაციო მიწებისა და სხვა კომუნიკაციების მდგომარეობა საპროექტო ტრასასთან მიბმით და მათი დამაგრების კონსტრუქციები ხიდებზე (გზაგამტარებზე, გვირაბებში და სხვა);

ე. დადგინდეს საკანალიზაციო და წყალსადენების ჭების მდგომარეობა (არსებობის შემთხვევაში);

ვ. შეირჩეს სავარაუდო ტრასა კომუნიკაციების გადასატანად;

ზ. მიბმული იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზები, ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები და სხვა. კომუნიკაციების არსებობის, ან არარსებობის შესახებ გაკეთდეს შესაბამისი უწყების მიერ სპეციალური ჩანაწერები გენგეგმაზე;

თ. საპროექტო გადაწყვეტილებები შეთანხმდეს სათანადო კომუნიკაციების მფლობელებთან.

### **3 ჰიდროლოგიური და ჰიდრომეტრიული სამუშაოების საორიენტაციო სახეობები ხელოვნური ნაგებობებისათვის:**

აუცილებლობის შემთხვევაში:

- ა. განისაზღვროს წყალშემკრები აუზები ხელოვნური ნაგებობებისათვის;
- ბ. დათვლილი იქნას ხარჯები შესაბამისი მეთოდით და დაზუსტდეს წყლის მაღალი ჰორიზონტი ხიდებისათვის;
- გ. შესრულდეს ზოგადი და ადგილობრივი გამორეცხვების გაანგარიშება ბურჯებისა და სარეგულაციო ნაგებობებისათვის;
- დ. ხიდების რეაბილიტაციისათვის გადაღებული იქნას სახიდე გადასასვლელის გეგმა სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო სამშენებლო მოედნის ფართის გათვალისწინებით;
- ე. კვლევა-ძიების პერიოდში განისაზღვროს მონაცემები კალაპოტის ცვლილებების პროცესებზე მდინარეების დონეები, სიჩქარეები, მენდრირება და სხვა;
- ვ. ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე დაინიშნოს სახიდე გადასასვლელებზე ახალი სარეგულაციო ნაგებობების მდებარეობა და კონსტრუქციები;

ჰიდრომეტრიული სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იქნას წყალთან (მდინარე, ტბა) ურთიერთობის უსაფრთხოების პირობები;

### **4. საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები**

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებმა უნდა უზრუნველყოს ტრასის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა სარეაბილიტაციო სამუშაოების სწორად დაგეგმვისათვის. ამისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის საკვლევა-ძიებო და ლაბორატორიული სამუშაოები:

- ა. საპროექტო გზის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა მექანიკური, სვეტური ბურღვის მეთოდით თითოეულ კილომეტრზე 3 განივი პროფილი 2 ჭაბურღილით – სიღრმით 3 მ. და გრუნტის ნიმუშების აღებით;
- ბ. ჭაბურღილებიდან აღებული გრუნტის ნიმუშების და მონოლითების ლაბორატორიული კვლევა და მათი შედეგების გაანალიზება;

გ. საპროექტო გზის საინჟინრო – გეოლოგიური აღწერა და ადრე ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მასალების შესწავლა და გაანალიზება;

აუცილებლობის შემთხვევაში:

დ. წყალგამშვები მილების საფუძვლის შესწავლა ჭაბურღილების გაყვანის მეთოდით თითოეულ მილზე მინიმუმ 1 ჭაბურღილისა, სიღრმით არანაკლები 5 მ. გრუნტის ნიმუშების აღებით;

ე. სახიდე გადასასვლელებზე ბურჯების, ხოლო საყრდენი კედლების საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;

## 5. ეკოლოგია და ბუნების დაცვა

ა. შეირჩეს სამუშაოთა წარმოების ისეთი წესები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად შენარჩუნებას;

ბ. გათვალისწინებული იქნას, აუცილებლობის შემთხვევაში, ნოციერი ზედაპირული ნიადაგის მოჭრა და მისი დროებითი გადაადგილება ნაყარში შემდგომი გამოყენების მიზნით. დაინიშნოს ადგილი მისი გამოყენებისათვის განისაზღვროს ზიდვის მანძილი;

გ. დაინიშნოს ადგილები საჭიროების შემთხვევაში გრუნტის კარიერების მოსაწყობად, განისაზღვროს გრუნტის ზიდვის მანძილები ტრასამდე;

დ. მოიხსნას დანიშნული კარიერის ნოციერი ფენა, რომელიც გამოყენებული იქნება შემდგომი რეკულტივაციისათვის;

ე. დაისახოს ღონისძიებები გარემოს დაცვისათვის;

ვ. „რეაბილიტაცია“-ს დამთავრების შემდეგ მოხდეს დროებით დაკავებული ტერიტორიების (გზებით, სამშენებლო ბაზებით და ა.შ.) რეკულტივაცია;

ზ. სარეაბილიტაციო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედღების შემთხვევაში, საჭიროა ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, ამისათვის აუცილებელია:

1). საავტომობილო გზის შესაბამის ნაკვეთზე საკადასტრო აზომებითი ნახაზის მომზადება (shp ფაილები);

2). სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოსარიცხ ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსების წინასწარი აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3). წითელი ნუსხის სახეობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით ჭრის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

**შენიშვნა:**



ჩასატარებელი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით. **დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენამდე ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.**

## სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური დავალება

საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდოდ ერთკილომეტრიანი სიგრძის) მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა.

### სამუშაოთა შესრულების ვადები

საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდოდ ერთკილომეტრიანი სიგრძის) მოწყობის სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

### 1.1 სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; შემსრულებელი პასუხისმგებელია, ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა.
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.
- სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.
- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

### 1.2 სამუშაოთა შესრულების წესი

სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით. შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

მიმწოდებელი ვალდებულია ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ იქნება მიღებული.

ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობს ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი.

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

### 1.3 გეოდეზიური ზედამხედველობა

საჭიროების მიხედვით შემსრულებელი თავისი ძალებითა და სახსრებით ჩამოაყალიბებს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.

რთული გეოდეზიური გაზომვების შემთხვევაში, შემსყიდველის მითითებით, ეს სამუშაო გადაეცემა მის მიერ მოწონებულ სპეციალიზირებულ ფირმას ან პიროვნებას. შერჩეულ ფირმასთან ან პიროვნებასთან ხელშეკრულების პირობები შესათანხმებელია შემსყიდველთან.

### 1.4 ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ასევე შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით:

- СНиП 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“
- СНиП 3.06.03-85 „საავტომობილო გზები“
- СНиП 2.05.03-84 „ხიდები და მილები“
- СНиП 3.06.04-91 „ხიდები და მილები“
- СНиП 2.03.01-84 „ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები“
- СНиП 11.23-81 „ლითონის კონსტრუქციები“
- ГОСТ 9128-84 „საგზაო ასფალტბეტონი“
- ГОСТ 22249-90 „ნავთობის ბიტუმი“
- ГОСТ 23735-79 „ქვიშა-ხრშოვანი ნარევი სამშენებლო სამუშაოებისათვის“
- ГОСТ 8267-82 „ღორღი ბუნებრივი ქვისაგან“
- ГОСТ 25192-82 „ბეტონის კლასიფიკაცია და საერთო ტექნიკური მოთხოვნა“
- ГОСТ 10807-78 „საგზაო ნიშნები“
- ГОСТ 13508-74 „საგზაო მონიშვნა“
- ВСН 24-88 „საავტომობილო გზების შეკეთება-შენახვის ტექნიკური წესები“
- ს.ს.ტ. გზები 2009

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ასევე ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციისა, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პუნქტში აღნიშნული ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს სატენდერო პირობებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები;

### 1.5 სამუშაოთა წარმოების ქურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ქურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

ამ ჟურნალში ტექნედამხედველი სისტემატიურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

### **1.6 სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი**

სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, სფეციფიკაციებითა და ხელშეკრულების პირობებით.

საწარმოო ჟურნალში აღნიშნული და ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე ტექნედამხედველი და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმებში.

დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის #1-1/23 ბრძანებით დამტკიცებული "საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად.

სამუშაოთა მიღება განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

ზედამხედველობის დირექციამ ყოველ თვეს შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს სამუშაოები, თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მასალებზე არ იქნება შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

ყოველი თვის ბოლოს მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს ზედამხედველობის დირექციას, რომელიც თავის მხრივ მას წარუდგენს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ყოველთვიურად, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების აქტი (უწყისი) და ანგარიშ-ფაქტურა.

ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალური ლაბორატორიების ადგილმდებარეობის მიხედვით.

### **1.7 სამუშაოთა საბოლოო მიღება**

არაუგვიანეს 7 სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ.

ტექნედამხედველი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას დასრულების თაობაზე და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

თუ ტექნედამხედველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შემსყიდველს დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ. შეტყობინებას მიღებისას, შემსყიდველის ბრძანების საფუძველზე, დასრულებული სამუშაოთა მიმღები კომისიის ჩამოყალიბებისას, უზრუნველყოფს ობიექტზე დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის მუშაობას

სახელშეკრულებო სამუშაოების დამთავრების დადგენის თაობაზე და ობიექტის ექსპლოატაციაში გაშვებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ორი წლის განმავლობაში აღმოჩნდება რაიმე ნაკლი ხარისხობრივი თვალსაზრისით, მიმწოდებელს 2.5% არ აუნაზღაურდება.